

აფხაზეთის მთავრობის დადგენილება №28

2006 წლის 23 ივნისი, ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სულიერებისა და კულტურის ცენტრის შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სულიერებისა და კულტურის ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

2. დამტკიცდეს ცენტრის თანდართული დებულება.

3. ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ფინანსთა სამინისტრომ (ვ. ჯგუბურია) წარმოადგინოს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2006 წლის ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის კანონის პროექტი.

4. აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრომ (კ. კუჭუხიძე) უზრუნველყოს ცენტრისათვის შესაბამისი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

5. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს აფხაზეთის მთავრობის აპარატის განათლების, კულტურის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტმა (ირ. ჯობავა).

6. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარე

მ. აკიშბაია

რეგისტრირებულია აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტში

სარეგისტრაციო კოდი 450010000320040000042

საჯარო სამართლის იურიდიული პირის სულიერებისა და კულტურის ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი “სულიერებისა და კულტურის ცენტრი” (შემდგომში ცენტრი) იქმნება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით, აფხაზეთის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და წინამდებარე დებულებების შესაბამისად;

3. ცენტრი თავისი საქმიანობის განხორციელებისას თანამშრომლობს საქართველოსა და აფხაზეთის დაწესებულებებთან, საქართველოს საპატრიარქოს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიასთან, აგრეთვე, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

4. ცენტრი თავისი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5. ცენტრის საშტატო განრიგი და ხელფასის ფონდი განისაზღვრება აფხაზეთის მთავრობის მიერ.

6. ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ემბლემა, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

7. ცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი მე-4 კვარტალი, თოფურის ქუჩა N10. (სსმ. ვებგვერდი, #20, 19.05.2015წ., სარ. კოდი 040030000.32.061.016147)

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სფერო და ამოცანები

1. ცენტრის საქმიანობა მიმართულია აფხაზეთის მოსახლეობაში სულიერებისა და კულტურის დონის ამაღლებით მშვიდობიანი თანაარსებობის სულისკვეთების აღდგენისა და განმტკიცებისაკენ.

2. ცენტრის ძირითადი ამოცანებია:

ა) სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება საქართველოს საპატრიარქოს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიასთან ერთად;

ბ) სოციალურად დაუცველი ფენებისათვის ზრუნვა;

გ) მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ზრუნვა;

დ) კაცობრიობის სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა პროპაგანდა მოქალაქეთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და შემწყნარებლობის აღსადგენად;

ე) კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო პროგრამული დაკვეთების განხორციელება.

3. თავისი ამოცანების შესრულებისას ცენტრი თანამშრომლობს:

ა) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

ბ) საქართველოსა და აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, აგრეთვე საერთაშორისო და უცხო ქვეყნების ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან და მსგავსი საკითხებით დაინტერესებულ სხვა ორგანიზაციებთან;

დ) აწყობს საერთაშორისო და ადგილობრივ სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, ფესტივალებს, სემინარებს, კონკურსებს, გამოფენებს, გამოფენა-გაყიდვებს და სხვ. ;

ე) ბავშვებისა და მოზარდების მრავალმხრივი განვითარების მიზნით ქმნის საგანმანათლებლო სტრუქტურებს (სტუდიებსა და სხვ.).

მუხლი 3. ცენტრის მართვა და სტრუქტურა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე საქართველოს საპატრიარქოს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიასთან შეთანხმებით.

2. ცენტრის თავმჯდომარე:

ა) წარმართავს ცენტრის საქმიანობას, წყვეტს კომპეტენციის ფარგლებში გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს;

გ) რეკომენდაციას უწევს შემოქმედებით ინიციატივას;

დ) ამტკიცებს ცენტრის ხარჯთა ნუსხას, ახორციელებს მათი შესრულების კონტროლს;

ე) ამტკიცებს ცენტრის საქმიანობის წესს, განსაზღვრავს თანამშრომელთა უფლებამოსილებებს;

ვ) საჭიროების შემთხვევაში ცენტრი ხელშეკრულებით იწვევს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებსა და ტექნიკურ მუშაკებს;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს).

3. ცენტრის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც მისი არყოფნის შემთხვევაში ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს.

4. პროგრამების სრულფასოვანი განხორციელების მიზნით ცენტრის თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტთან შეთანხმებით, ნიშნავს პროგრამების დირექტორებს.

მუხლი 4. ცენტრის ქონება და დაფინანსება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადაეცემა სათანადო ქონება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. ცენტრის დაფინანსების წყაროა:

ა) აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები.

3. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები:

ა) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტები;

დ) საქველმოქმედო შენატანები.

მუხლი 5. ზედამხედველობა და კონტროლი

1. ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს აფხაზეთის მთავრობა და საქართველოს საპატრიარქოს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია კომპეტენციის ფარგლებში.

2. საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლისათვის აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს მოითხოვოს საჭირო მასალები და ინფორმაცია.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აფხაზეთის მთავრობასა და საქართველოს საპატრიარქოს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას შორის შეთანხმებით.